

ICOMOS-ის ქარტია - არქიტექტურული მემკვიდრეობის ანალიზის, კონსერვაციისა და სტრუქტურული რესტავრაციის პრინციპები (2003 წ.)

რატიფიცირებულია ICOMOS-ის მე-14 გენერალური ასამბლეის მიერ ვიეტნამში, ჰიმზაბე, 2003 წ.

ICOMOS Charter - Principles for the Analysis, Conservation and Structural Restoration of Architectural Heritage (2003)

პრინციპები

დოკუმენტის მიზანი

არქიტექტურული მემკვიდრეობის ნაგებობებს თავიანთი ბუნებითა და ისტორიით (მასალა და კომპლექსური სტრუქტურა) დიაგნოსტიკისა და რესტავრაციის საკითხში გარკვეული გამოწვევები ახლავს, რაც ზღუდავს თანამედროვე კანონმდებლობისა და მშენებლობის სტანდარტების გამოყენებას. რეკომენდაციების არსებობა სასურველი და აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილ იქნას ანალიზის რაციონალური მოდელები ისევე, როგორც კულტურული კონტექსტის შესაბამისი შეკეთების მეთოდები.

ეს რეკომენდაციები გათვალისწინებულია ყველასთვის, ვინც კონსერვაციისა და რესტავრაციის პრობლემებით არის დაკავებული, თუმცა ვერ შეცვლის კულტურული და სამეცნიერო ტექსტებიდან მიღებულ კონკრეტულ ცოდნას.

მთლიან დოკუმენტში წარმოდგენილი რეკომენდაციები ორ ნაწილად იყოფა, ესენია: „პრინციპები“, რომელშიც კონსერვაციის მთავარი კონცეფციებია წარმოდგენილი და „სახელმძღვანელო დებულებები“, სადაც განხილულია ის წესები და მეთოდოლოგია, რომლებსაც დამპროექტებელი უნდა მიჰყვეს. ICOMOS-ის მიერ დამტკიცებული/რატიფიცირებული დოკუმენტის სტატუსით მხოლოდ „პრინციპები“ სარგებლობს.

სახელმძღვანელო დებულებები ხელმისაწვდომია ინგლისურად ცალკე დოკუმენტში.

პრინციპები

1. ზოგადი კრიტერიუმები

- 1.1. არქიტექტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია, გამაგრება და რესტავრაცია მრავალდისციპლინარულ მიდგომას მოითხოვს.
- 1.2. არქიტექტურული მემკვიდრეობის ღირებულება და ავთენტურობა ფიქსირებულ კრიტერიუმებს ვერ დაეყრდნობა, ვინაიდან ყველა კულტურის სათანადო პატივისცემას მოითხოვს, ამიტომ ფიზიკური მემკვიდრეობაც იმ კულტურული კონტექსტის ფარგლებში უნდა იქნას განხილული, რომელსაც ის ეკუთვნის.
- 1.3. არქიტექტურული მემკვიდრეობის ღირებულება მხოლოდ მის გარეგნულ იერსახეში არ არის, ის ყველა კომპონენტის მთლიანობაშია, როგორც თავისი დროის დამახასიათებელი მშენებლობის ტექნიკის უნიკალური პროდუქტისა. კერძოდ, შიდა სტრუქტურის მოშლა მხოლოდ ფასადების შენარჩუნების პირობებში კონსერვაციის

კრიტერიუმებში ვერ ჯდება.

- 1.4. როდესაც ხდება დანიშნულების, ან ფუნქციის ცვლილების შეთავაზება, ზედმიწევნით უნდა იქნას გათვალისწინებული კონსერვაციის ყველა მოთხოვნა და უსაფრთხოების პირობები.
- 1.5. არქიტექტურული მემკვიდრეობის კონტექსტში სტრუქტურის რესტავრაცია თვითმიზანი კი არ არის, არამედ მიზნის მიღწევის საშუალება უფროა, რომელსაც თავად შენობის მთლიანობა წარმოადგენს.
- 1.6. მემკვიდრეობის ნაგებობების თავისებურება მათი კომპლექსური ისტორიით მოითხოვს კვლევებისა და წინადადებების ორგანიზებას ზუსტად გათვლილი ნაბიჯების მიხედვით, რომლებიც მედიცინაში გამოყენებული ნაბიჯების მსგავსია - ანამნეზი, დიაგნოზი, თერაპია და კონტროლი შეესაბამება მნიშვნელოვანი მონაცემებისა და ინფორმაციის მოძიებას, ზიანისა და დაშლის მიზეზების გამოკვეთას, სამკურნალო ღონისძიებების არჩევას და ჩარევების ეფექტიანობის კონტროლს, ხელმისაწვდომი ფინანსების რაციონალური გამოყენებით ხარჯ-ეფექტიანობისა და არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე მინიმალური გავლენის მიღწევის უზრუნველყოფას. ჩვეულებრივ, აუცილებელია, რომ კვლევისას განმეორებით პროცესში ხელახლა ხდებოდეს ამ ნაბიჯების გადადგმა.
- 1.7. არცერთი ქმედება არ უნდა განხორციელდეს არქიტექტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით შესაძლებელი სარგებლისა და შესაძლო ზიანის შეუფასებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სტრუქტურების გარდაუვალი ჩამოშლის თავიდან ასაცილებლად დგება გადაუდებელი დაცვის ღონისძიებების აუცილებლობა (მაგ., სეისმური დაზიანებების შემდეგ); თუმცა ეს გადაუდებელი ზომები შეძლებისდაგვარად არ უნდა იწვევდეს ქსოვილის შეუქცევად მოდიფიკაციას.

2. კვლევები და დიაგნოზი

- 2.1. ჩვეულებრივ, მრავალდისციპლინარული ჯგუფი, რომელიც პრობლემის ტიპისა და მასშტაბის შესაბამისად იკრიბება, ერთად უნდა მუშაობდეს კვლევის პირველივე ნაბიჯებიდან - როგორცაა ობიექტის თავდაპირველი შესწავლა, წინასწარი კვლევა და კვლევის პროგრამის მომზადება.
- 2.2. მონაცემებისა და ინფორმაციის დამუშავება თავდაპირველად მიახლოებით უნდა მოხდეს, რათა მოქმედებათა უფრო ყოვლისმომცველი გეგმა შედგეს, რომელიც სტრუქტურის რეალური პრობლემების პროპორციული იქნება.
- 2.3. კონსერვაციის პრაქტიკა სტრუქტურისა და მასალის მახასიათებლების სრულ გაგებას მოითხოვს. ინფორმაცია სტრუქტურის თავდაპირველი და უფრო ადრეული მდგომარეობის შესახებ, შენების პროცესში გამოყენებული მეთოდებისა და ბოლოს, გადაკეთებებისა და მათი შედეგების შესახებ არსებითად მნიშვნელოვანია.
- 2.4. არქეოლოგიურ ობიექტებზე შესაძლოა შეიქმნას სპეციფიკური პრობლემები, ვინაიდან გათხრების დროს აუცილებელია აღმოჩენილი სტრუქტურების სტაბილიზაცია, მაშინ, როდესაც ცოდნა ობიექტის შესახებ ჯერ კიდევ არასრულია. სტრუქტურული რეაქციები „ახლად აღმოჩენილ“ შენობაზე შესაძლოა, სრულიად განსხვავდებოდეს მიწის ზემოთ არსებულ შენობაზე რეაქციებისგან. გათხრისას გადაუდებელი სტრუქტურული სტაბილიზაციისთვის მიღებული გადაწყვეტილებები არ უნდა არღვევდეს შენობის მთლიან კონცეპტუალურ ფორმას და დანიშნულებას.
- 2.5. დიაგნოზი ემყარება ისტორიულ, ხარისხობრივ და რაოდენობრივ მიდგომებს; ხარისხობრივი მიდგომა სტრუქტურულ ზიანსა და მასალის დაშლაზე პირდაპირ დაკვირვებასთან ერთად ასევე ეფუძნება ისტორიულ და არქეოლოგიურ კვლევებს, ხოლო რაოდენობრივი მიდგომა, ძირითადად - მასალისა და სტრუქტურის გამოცდებს, მონიტორინგსა და სტრუქტურულ ანალიზს.
- 2.6. სტრუქტურული ჩარევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებლად უნდა დადგინდეს ჯერ დაზიანებისა და დაშლის მიზეზები და შემდეგ მოხდეს სტრუქტურის უსაფრთხოების დონის შეფასება.
- 2.7. დიაგნოზის ბოლო საფეხურმა, უსაფრთხოების შეფასებამ, როდესაც ჩარევის ზომების

- საჭიროება განისაზღვრება, უნდა შეაჯეროს ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზები, კერძოდ: პირდაპირ დაკვირვება, ისტორიული კვლევა, სტრუქტურული ანალიზი და შესაბამის შემთხვევაში ექსპერიმენტები და გამოცდები.
- 2.8. უსაფრთხოების ისეთივე დონეების გამოყენება, როგორც ახალი შენობის დაპროექტებისას ხდება, მემკვიდრეობის შემთხვევაში ხშირად მოითხოვს გადაჭარბებული და ზოგჯერ შეუძლებელი ზომების მიღებას. ასეთ შემთხვევებში, სპეციფიკური ანალიზითა და სათანადო განხილვებით უნდა დავასაბუთოთ უსაფრთხოების მიმართ განსხვავებული მიდგომების მართებულება.
- 2.9. მიღებულ ინფორმაციასთან, დიაგნოზთან, მათ შორის უსაფრთხოების შეფასებასთან და ჩარევის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ყველა ასპექტი აღწერილ უნდა იქნას „განმარტებით ბარათში“.
3. დაზიანების აღმოფხვრის ზომები და კონტროლი.
- 3.1. თერაპიამ უნდა აღმოფხვრას მიზეზები და არა სიმპტომები.
- 3.2. პრევენციული მოვლა-პატრონობა საუკეთესო თერაპიაა.
- 3.3. უსაფრთხოების შეფასება და სტრუქტურის მნიშვნელობის გაგება კონსერვაციისა და გამაგრების ღონისძიებების საფუძველი უნდა გახდეს.
- 3.4. არცერთი ქმედება არ უნდა განხორციელდეს მათი გარდაუვალი აუცილებლობის მტკიცებულების გარეშე.
- 3.5. თითოეული ჩარევა უსაფრთხოებისთვის დასახული ამოცანების პროპორციული უნდა იყოს. ამით ჩარევა მინიმუმამდე შემცირდება, რათა უსაფრთხოება და გამძლეობა უზრუნველყოფილ იქნას მემკვიდრეობის ღირებულებისათვის მინიმალური ზიანის მიყენებით.
- 3.6. ჩარევის პროექტი უნდა ემყარებოდეს ზემოქმედების იმ ტიპების მკაფიო გაგებას, რომლებიც ზიანისა და დაშლის მიზეზი გახდნენ, ასევე ზემოქმედების იმ ტიპების შესახებ ცოდნას, რომელთა გათვალისწინება ჩარევის შემდეგ, სტრუქტურის ანალიზისას ხდება, ვინაიდან პროექტი მათზე იქნება დამოკიდებული.
- 3.7. არჩევანი ტრადიციულ და ინოვაციურ მეთოდებს შორის კონკრეტული შემთხვევის საფუძველზე უნდა შეფასდეს და უპირატესობა ყველაზე ნაკლებად ინვაზიურ და მემკვიდრეობის ღირებულებასთან ყველაზე თავსებადს უნდა მიენიჭოს, გათვალისწინებულ უნდა იქნას რა უსაფრთხოებისა და გამძლეობის მოთხოვნები.
- 3.8. ზოგჯერ უსაფრთხოების რეალური დონისა და ჩარევის პოტენციური სარგებლის შეფასების სირთულეებმა შესაძლოა, „დაკვირვების მეთოდის“ მიღებისკენ გვიბიძგოს, ანუ ინკრემენტული მიდგომისკენ, როდესაც ჩარევის მინიმალური დონით ვიწყებთ, შემდეგ კი შეიძლება რიგი დამატებითი ან მაკორექტირებელი ზომები მივიღოთ.
- 3.9. შეძლებისდაგვარად, ნებისმიერი მიღებული ზომა „შექცევადი“ უნდა იყოს, რათა ახალი ცოდნის მიღების შემდეგ შესაძლებელი იყოს მათი გაუქმება და უფრო მართებული ზომებით ჩანაცვლება. ისეთ შემთხვევაში, როცა ჩარევები მთლად შექცევადი ხასიათის არ არის, არ უნდა შეიზღუდოს შემდგომი ჩარევების შესაძლებლობა.
- 3.10. რესტავრაციის სამუშაოების დროს გამოყენებული მასალის მახასიათებლები (კერძოდ, ახალი მასალები) და მათი თავსებადობა არსებულ მასალებთან სრულად უნდა იქნას დადგენილი. ეს უნდა ითვალისწინებდეს გრძელვადიან ზემოქმედებას, რათა თავიდან იქნას აცილებული არასასურველი გვერდითი მოვლენები.
- 3.11. სტრუქტურისა და მისი გარემოს, როგორც თავდაპირველი, ისე განვითარების ეტაპებზე შემენილი განმასხვავებელი თვისებები, არ უნდა განდგურდეს.
- 3.12. თითოეული ჩარევა შეძლებისდაგვარად უნდა ითვალისწინებდეს სტრუქტურის თავდაპირველ ან განვითარების ეტაპების დროის კონცეფციას, ტექნიკასა და ისტორიულ ღირებულებას. ჩარევამ ამ ინფორმაციის კვალი იმ მდგომარეობაში უნდა დატოვოს, რომ მომავალში მათი ცნობა შესაძლებელი იყოს.
- 3.13. ჩარევა უნდა იყოს კომპლექსური გეგმის შედეგი, რომელიც სათანადო მნიშვნელობას ანიჭებს არქიტექტურის, სტრუქტურის, მონტაჟისა და ფუნქციონალურ

- შესაძლებლობათა განსხვავებულ ასპექტებს.
- 3.14. შეძლებისდაგვარად თავიდან უნდა იქნას აცილებული რაიმე სახის ისტორიული მასალის ან განმასხვავებელი არქიტექტურული მახასიათებლების მოშორება თუ გადაკეთება.
 - 3.15. დაზიანებული სტრუქტურები კი არ უნდა ჩანაცვლდეს, არამედ შეძლებისდაგვარად უნდა შეკეთდეს.
 - 3.16. არასრულყოფილი და გადაკეთებული ელემენტები უნდა შენარჩუნდეს იმ შემთხვევაში, თუკი ისინი უკვე სტრუქტურის ისტორიის ნაწილად იქცნენ და ამით უსაფრთხოების მოთხოვნები არ ირღვევა.
 - 3.17. დაშლა და ხელახლა აწყობა მხოლოდ ერთ-ერთ შესაძლებელ ვარიანტად უნდა განიხილებოდეს, რომლის საჭიროებასაც თავად მასალისა და სტრუქტურის ბუნება გვიკარნახებს, როდესაც სხვა საშუალებებით კონსერვაციის განხორციელება შეუძლებელი ან საზიანოა.
 - 3.18. გადაუდებელი ჩარევის დროს გამოყენებული დროებითი დაცვის სისტემები თავიანთ მიზნობრიობას და ფუნქციას უნდა პასუხებდეს მემკვიდრეობის ღირებულების ხელყოფის გარეშე.
 - 3.19. ჩარევის ნებისმიერ წინადადებას შეძლებისდაგვარად თან უნდა ახლდეს სამუშაოების კონტროლის პროგრამა.
 - 3.20. არ უნდა იქნას დაშვებული ისეთი ზომების გატარება, რომელთა კონტროლი აღსრულების დროს შეუძლებელია.
 - 3.21. შედეგების ეფექტიანობის მისაღწევად შემოწმება და მონიტორინგი საჭიროა როგორც ჩარევის დროს, ისე ჩარევის შემდეგაც.
 - 3.22. უნდა მოხდეს შემოწმებისა და მონიტორინგის ყველა ღონისძიების, როგორც სტრუქტურის ისტორიის ნაწილის, დოკუმენტირება და შენახვა.